

კიდევ ერთი ნაბიჯი მუნიციპალიტეტის პალიტაში საბიუჯეტო პროცესების სრულყოფისაკენ



ნინო ამალაშვილი



რინა მალაშვილი



ედნა აბულაძე

ახალგაზრდა მენეჯერთა კავშირი „ინტელექტი“-ს მიერ პროექტის - „თეთრი მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში შემუშავებული იქნა ნორმატიული აქტის პროექტი - „მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო კვლევის ჩატარების, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების შედგენისა და ანგარიშების ინსტრუქცია“, რომელიც ხელის, შუახელის, ქედის, ხელფარვის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაეგზავნათ განსახილველად.

სტატიის მომზადების მომენტისათვის აჭარის რეგიონის ოთხმა (ხელფარი, ქედი, შუახელი, ხელი) მუნიციპალიტეტმა, აღნიშნული ნორმატიული აქტის პროექტი უკვე დამტკიცა. რაც შეეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტს, საკრებულოს აპარატის უფროსის თენგიზ ნოღაიდელის განცხადებით, პროექტის განხილვა საკრებულოს ბიუჯეტის სხდომაზე უკვე შედგა და საკრებულო უახლოეს სხდომაზე გვეგვას ნორმატიული აქტის პროექტის გატანის დასაშვალად.

ნორმატიული აქტის მიღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდა აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესების სრულყოფისათვის, ამ პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის მიღწევის და ბიუჯეტების მოსახლეობის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტიაციის ხარისხის ამაღლებისათვის.

ნორმატიული აქტის შემუშავებისა და საკრებულოების მიერ მისი განხილვის ეტაპზე კიდევ ერთი პრეცედენტი შეიქმნა. როგორც ცნობილია, საკრებულოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ ამბობს: „თვითმმართველი ერთეულის ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარე (ქალაქი თბილისის შემთხვევაში - აგრეთვე ქალაქის მერი) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მიმართოს შესაბამის ზედამხედველობის ორგანოს სამართლებრივი კონსულტაციის თაობაზე წერილობითი მოთხოვნით“.

მოუხდევად კანონი არსებული ჩანაწერისა, ასეთი პრაქტიკა რეგიონის მუნიციპალიტეტებში აქამდე გამოყენებული არ ყოფილა.

კავშირი „ინტელექტი“-ს მიერ შემუშავებულ ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით ხელფარვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონმა რინა მალაშვილმა სწორედ ასეთი სამართლებრივი კონსულტაციისათვის მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს (აჭარის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე სახელმწიფო ზედამხედველობის სწორედ საკრებულოს მთავრობა ახორციელებს).

საკრებულოს მთავრობიდან მიღებული რეკომენდაციები განხილული იქნა კავშირის „ინტელექტი“ ორგანიზაციის მიერ და სრულად იქნა ასახული, რამაც მნიშვნელოვნად დახვეწა ნორმატიული აქტის პროექტი, ისე რომ არ მომხდარიყო მისი ძირითადი არსის ცვლილება.

ნორმატიული აქტის „მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო კვლევის ჩატარების, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების შედგენისა და ანგარიშების ინსტრუქცია“ მნიშვნელობას განსაკუთრებულ ხაზს უსვამს აჭარის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეებს: **რინა მალაშვილი, ხელფარვის საკრებულოს თავმჯდომარე:** „აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით მინდა გამოვყო ერთი გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც შეიქმნა კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულზე ზედამხედველობის შესახებ, ეს ნორმატიული აქტი ერთადერთია ამ ეტაპზე, რომელსაც წინასწარი ვიზიტება გაიარა პრეზიდენტის აპარატში და მას შემდეგ იქნა მიღებული ხელფარვის საკრებულოს მიერ. ნორმატიული აქტის მიღების შემდეგ ხელფარვის გამგეო-

ბა დავალდებულდა, რომ მიზნობრივი პროგრამები შეიმუშავოს ნორმატიული აქტის მიხედვით დადგინდა წესის შესაბამისად, რომელთა მინიმორინგს განხორციელებს საკრებულო.

ამავე აქტით გათვალისწინებული მოსახლეობის ჩართულობის აუცილებლობა პრობლემატიკის არჩევის დროს, რაც გაზრდის მოსახლეობის ინფორმირებულობას და ხელს შეუწყობს ბიუჯეტის გამჭვირვალებას. მართალია, ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას ხედებოდა და იკვლევდა პრობლემებს, ახალგაზრდა მენეჯერთა კავშირი „ინტელექტი“ აგრეთვე ორი წელია გავლენის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებს, მაგრამ ნორმატიული აქტის ამოქმედების შემდეგ ყოველივე ზემოთხსენებული უკვე საგადადებელი იქნება შესასრულებლად.“

ედნა აბულაძე, ქედის საკრებულოს თავმჯდომარე: „ბიუჯეტის გამჭვირვალება დამოკიდებულია საჯაროობაზე, როდესაც ბიუჯეტი დგება, ყველა მიზნობრივი პროგრამა განხილული უნდა იყოს საჯაროდ, რათა შევძლოდეთ განხილვას მაქსიმალურად ვიწიფი დაზღვეული, აღნიშნული ნორმატიული აქტი კი ყოველივე ზემოთხსენებულს ხელს შეუწყობს. სწორედ ამიტომაც ეს ნორმატიული აქტი მნიშვნელოვანი ადგილობრივი თვითმმართველობისათვის.“

ნორმატიული აქტი „მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო კვლევის ჩატარების, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების შედგენისა და ანგარიშების ინსტრუქცია“ კარგია გამგებობის კონტროლის თვალსაზრისითაც, რადგან ამ აქტით გათვალისწინებული განხორციელებული მიზნობრივი პროგრამების ანგარიშების ნარდგება, გამგებობის კონტროლის მექანიზმი ადრევე გვეყრება, კვრტალში ერთხელ გამგებობის ყველა სამსახური ვალდებული იყო შესრულებული საქმიანობების შესახებ ანგარიშის ნარდგება, მაგრამ ეს ნორმატიული აქტი უფრო ფართო ტევადობისა, გამგებობისათვის საკმაოდ შრომატევადი საქმე იქნება, მაგრამ ვფიქრობ ვფიქტროვ.“

2010 წლის ბიუჯეტზე დიდი ხანია დაწყებულია მუშაობა, რომელშიც ახალგაზრდა მენეჯერთა კავშირი „ინტელექტი“ აქტიურად ჩართულია და რომლებმაც მოსახლეობაში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევა ჩატარა. გამგებობის და საკრებულოსაც გვექონდა მოსახლეობაში გასვლა, ძირითადი პრობლემატიკური წესის გავაცხ. სწორედ ამ კვლევების შედეგების გათვალისწინებას ვედილობთ ბიუჯეტში.“

ნინო ამალაშვილი, შუახელის საკრებულოს თავმჯდომარე: „ნორმატიული აქტის ამოქმედება ხელს შეუწყობს საკრებულოს მუშაობას. საკრებულოს წინასწარ ეკონომიკა მიზნობრივი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანხა, რომელიც პრობლემის მოსაგარებლად იქნება საჭირო. ადრე პრიკით ხდებოდა - გვექონდა ბიუჯეტი და შემდეგ ესაზღვრავით არ უნდა გავგეჟეჟინა. როცა პროგრამები გვექნება და დეტალში გვექონდება მოსახლეობის მოთხოვნები, თანხების მოძიებაც ადვილი იქნება. ამ ნორმატიული აქტით კი დარეგულირდება ყოველივე ზემოთხსენებული.“

შუახელის თვითმმართველობის მოსახლეობასთან შეხვედრების დეფიციტს ადრევე არ ჰქონია, მაგრამ ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო გათვზომავდება ნორმატიული აქტის ამოქმედების შემდეგ. რაც კიდევ ერთხელ ხელს შეუწყობს ბიუჯეტის გამჭვირვალებას.

ნორმატიული აქტის შემუშავების იდეაზე, მიზნებზე და სამომავლო შედეგებზე ვესაუბრეთ იდის ავტორს, ახალგაზრდა მენეჯერთა კავშირი „ინტელექტის“ გამგებობის თავმჯდომარეს - ლევან ვაძაძეს:

ბატონო ლევან, რა იყო მთავარი მიზანი, როდესაც ნორმატიული აქტის

პროექტზე დაიწყეთ მუშაობა?

სანამ უშუალოდ ნორმატიული აქტის მიზნებზე ვესაუბრებდით მინდა რამდენიმე სიტყვით ჩამოვყალიბოთ ის წინაპირობები, რომლებმაც განსაზღვრა ასეთი ნორმატიული აქტის შემუშავების აუცილებლობა.

ჩვენი ორგანიზაცია 2006 წლიდან, ახლაც კანონმდებლობის მიხედვით თვითმმართველობის ორგანოების არჩევის მომენტებიდან აქტიურად მუშაობს პროექტებზე, რომლებიც მიმართულია აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების ინსტრუქციონალური განვითარების, თვითმმართველობის პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების მიზნობრიობის, ეფექტურობის, გამჭვირვალობის ამაღლებისაკენ, თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის თანამშრომლობის ფორმებისა და ასეთი თანამშრომლობის ტრადიციების ჩამოყალიბებისაკენ.

2007 წელს ჩვენ დაიწყეთ რეგიონში ახალი პროექტი - „თეთრი მობილიზაციის ინიციატივა“ განხორციელება, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ მუნიციპალური ბიუჯეტების დაგეგმვების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის მიღწევა, მუნიციპალური ბიუჯეტების მოსახლეობის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტიაციის ხარისხის ამაღლება გახლდათ.

პროექტი თვალისწინებდა შესაბამის მეთოდოლოგიების შემუშავებას, მის იმპლემენტაციას და მიღწეული შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფას.

ორგანიზაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული იქნა შესაბამისი მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც აჭარის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის (ქედი, ქობულეთი, შუახელი, ხელფარი, ხელი) 63 თემში ჩატარდა მოსახლეობის საერთო კრებები აქ არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიკაციის მიზნით და ამ პრობლემათა პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. ასეთი კრებები ჩატარდა ორჯერ - პირველად 2008 წელს, კავშირის ექსპერტების მიერ და 2009 წელს თემების რწმუნებულების მიერ, კავშირის ექსპერტების მონაწილეობით.

კრებებზე გამოკვეთილი იქნა თემებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ეს პრობლემები დალაგებული იქნა პრიორიტეტების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ კავშირის ექსპერტები არ მონაწილეობდნენ პრობლემების იდენტიფიკაციისა და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესებში. პრობლემების გამოკვეთა და პრიორიტეტების განსაზღვრა ხორციელდებოდა თვით მოსახლეობის მიერ. ექსპერტები მხოლოდ ფასილებრივი როლს ასრულებდნენ.

რა გვიჩვენა ჩატარებულმა კვლევებმა?

კვლევებმა გვიჩვენა, რომ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსახლეობის არსებული საჭიროებებისგან. არ არსობს მეტ ნაკლებად ობიექტური კვლევების სისტემები და მეთოდოლოგია, რომლებიც საშუალებას მისცემდა მოსახლეობას მონაწილეობა მიეღო ბიუჯეტების შემუშავებაში, მიეღწია თემების ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას ბიუჯეტების დაგეგმვებისა და დამტკიცების პროცესებში.

შესაბამისად, ჩვენ დავინახეთ საჭიროება ისეთი მექანიზმის ჩამოყალიბებისა, რომელიც უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტებში ყოველწლიურად, ბიუჯეტების დაგეგმვების პროცესების დაწყებამდე, სრულყოფიანი კვლევების ჩატარებას თემების მოსახლეობის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის მიზნით და კვლევების შედეგ-

